

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ზ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ზუცხრიკიძე

„25“ 11 „ 2013 წელი

ეგზ. № 2

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 60/00

01.01.2009-01.01.2013

2013 წელი

სარჩევი

აუდიტის ძირითადი მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა.....	4
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები	8
დაუსაბუთებელი და სავარაუდოდ, ბიუჯეტიდან ზედმეტად გაწეული ხარჯები.....	8
შესყიდვების განხორციელებისას დაშვებული ხარვეზები	9
მუნიციპალიტეტის მიერ ქონების მართვა, განკარგვა და აღრიცხვა	13
ხანდაზმული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.....	22
სარეზერვო ფონდის ხარჯვა.....	23
შპს „ ბორჯომის კეთილმოწყობას“ დაფუძნება და საქმიანობა	24
მასშტაბის შესზღუდვა.....	26
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	26
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	27
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	27

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ✓ დასკვნის გაცემა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე.

აუდიტის დასკვნაში ასევე აისახა:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა - საქმიანობის წარმართვა, რესურსების გამოყენება, ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების მოთხოვნათა დაცვა მოქმედი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- მართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება ბორჯომის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ბორჯომის მუნიციპალიტეტში საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ბორჯომის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მიმდინარე ბიუჯეტის საშუალებით. მისი დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- გარე ვაჭრობის, გარე რეკლამებისა და ავტოპარკირების განსაზღვრა-რეგულირება;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია; და სხვა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ფართობია 1189 კვ.კმ. მოსახლეობის რიცხოვნობა 2012 წლის მონაცემებით შეადგენს 31,5 ათას კაცს. მუნიციპალიტეტი შედგება 4 დაბისა და 37 სოფლისგან.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია და ფუნქციონირებს 9 ა(ა)იპ-ი, ორი შპს.


ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის შემოსულობებმა 2009-2012 წლებში შეადგინა 40 202.3 ათასი ლარი, მათ შორის: 2009 წელს – 9 564.4 ათასი ლარი; 2010 წელს – 7 149.2 ათასი ლარი; 2011 წელს – 13 482.5 ათასი ლარი; 2012 წელს – 10 006.2 ათასი ლარი; აქედან, შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

ათას ლარებში

დასახელება	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი
შემოსავლები	9 404.7	7 082.0	13 289.3	9 860.2
გადასახადები	4 526.4	2 489.3	5 110.3	3 968.8
გრანტები	2 163.0	1 351.7	4 836.8	2 562.2
სხვა შემოსავლები	2 715.4	3 241.0	3 342.2	3 329.2
არაფინანსური აქტივების კლება	159.7	67.2	193.2	145.9

2009-2012 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოთანაბრებითი ტრანსფერი არ მიუღია. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა ორი ძირითადი გადასახადი: ქონების გადასახადი, რამაც 13 846.7 ათასი ლარი შეადგინა (მთლიანი შემოსავლის 35%) და მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 8 377.4 ათასი ლარი (მთლიანი შემოსავლის 21%). საკუთარი შემოსავლები წლების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ათას ლარებში



ქონების გადასახადი ძირითადად მიღებულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, რამაც სულ შეადგინა 7 669.0 ათასი ლარი და საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 5 437.1 ათასი ლარი.


ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა: 2009 წელს - 6 296.6 ათასი ლარი; 2010 წელს - 8 068.0 ათასი ლარი; 2011 წელს - 8 506.1 ათასი ლარი; 2012 წელს - 15 570.7 ათასი ლარი. რაც შეეხება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდას, წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

ათას ლარებში

დასახელება	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი
ხარჯები	3 577.6	4 539.2	4 821.5	6 941.3
შრომის ანაზღაურება	665.4	699.2	848.8	1 027.7
საქონელი და მომსახურება	809.4	1 123.8	1 938.2	3 186.0
პროცენტი	35.7	0	0	75.0
სუბსიდიები	1 550.2	1 762.5	1 082.6	1 279.4
სოც. უზრუნველყოფა	393.4	479.2	342.2	563.6
სხვა ხარჯები	123.4	474.5	609.8	809.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	2 719.0	3 321.2	3 512.8	8 553.7

2009-2012 წლებში ბიუჯეტების დანახარჯების დინამიკა ფუნქციონალურ ჭრილში წარმოდგენილია დიაგრამის სახით:

ათას ლარებში



2009-2012 წლებში ბიუჯეტის გადასახდელების 24% საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხარჯია, რამაც აღნიშნულ პერიოდში 8 873.2 ათასი ლარი შეადგინა. ხარჯი ძირითადად გაწეულია ბინათმშენებლობის, გარე განათებისა და წყალმომარაგების მიმართულებით. ბიუჯეტის გადასახდელების 21% მოდის ეკონომიკურ საქმიანობაზე, რომელიც ძირითადად შედგება საავტომობილო ტრანსპორტის, გზებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხარჯებისგან.

2009-2012 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიღებულია მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სულ 915.7 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი, სულ 9 987 ათასი ლარი. სპეციალური

ტრანსფერით თანხები ძირითადად გამოყოფილია ბორჯომის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, გზების რეაბილიტაციის, მრავალბინიანი კორპუსების სახურავების, საყრდენი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესასრულებლად.

მუნიციპალიტეტში განხორციელებული შესყიდვები

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ 2009-2012 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა პროგრამებისა და ღონისძიებებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდა 112 ტენდერის (ელ-ტენდერი, კონსოლიდირებული ტენდერი), 161 გამარტივებული ელ-ტენდერის (ფასთა კოტირების) და 975 გამარტივებული შესყიდვის (ერთ პირთან მოლაპარაკების) გზით.

(ათას ლარებში)

წელი	გამარტივებული შესყიდვა (ეკმ)		გამარტივებული ელ-ტენდერი(ფასთა კოტირება)		ტენდერი (ელ-ტენდერი, კონსოლიდირებული ტენდერი)		სულ	
	რაოდენობა	თანხა (ათასი)	რაოდენობა	თანხა (ათასი)	რაოდენობა	თანხა (ათასი)	რაოდენობა	თანხა (ათასი)
2009	333	1 386.0	7	369.3	21	1 817.8	361	3 573.0
2010	297	1 938.5	22	697.0	19	2 492.7	338	5 128.2
2011	152	1 652.3	68	1 611.3	37	2 303.2	257	5 566.8
2012	193	4 680.3	64	1 418.7	35	5 839.9	292	11 938.9
სულ	975	9 657.1	161	4 096.3	112	12 453.6	1248	26 206.9

2009-2011 წლებში განხორციელებული შესყიდვების დინამიკა თანხობრივად მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდიდა, ხოლო 2012 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია ორჯერ. 2012 წელს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესრულებულია „ქ.ბორჯომში ცენტრალური პარკისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები“ - ღირებულებით 2 000.0 ათასი ლარი, რომლისთვისაც თანხა გამოიყო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 2011 წელს.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

დაუსაბუთებელი და სავარაუდოდ, ბიუჯეტიდან ზედმეტად გაწეული ხარჯები

- შპს „გარე განათება“-სთან 2010 წელს გაფორმებულია ორი ხელშეკრულება¹ გარე და დეკორატიული განათების მომსახურების შესყიდვაზე, საიდანაც ქუჩების, სკვერების და ხიდების განათებისთვის საჭირო ერთი ერთეული სანათის მომსახურება შეადგენდა 1.8 ლარს². წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტებში გაზრდილია ერთი ერთეული სანათის მომსახურების ფასი და მომსახურება შესრულებულია 1.9 ლარად. სულ ერთეულის ფასის ზრდამ, შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე, შეადგინა 3.3 ათასი ლარი³. აღნიშნული ხელშეკრულებებით შესრულებულმა და ანაზღაურებულმა სამუშაომ შეადგინა 75.5 ათასი ლარი, რომელიც 0.6 ათასი ლარით მეტია ხელშეკრულების ღირებულებაზე.
- 2010 წელს ი/მ „ვახტანგ კაპანაძე“-მ შეასრულა მრავალსართულიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები⁴ თანხით 89.7 ათასი ლარი. სამუშაოების შესრულების აქტში, ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით, მასალის ფასი გაზრდილია ისე, რომ არ არის მოხდენილი ხარჯთაღრიცხვის კორექტირება, კერძოდ - „ლინოკრომი ნაქსოვ საფუძველზე ნაფხვენებით 2 ფენაზე“ - გაზრდილია ერთეულის ფასი⁵, რამაც დარიცხვებით შეადგინა 1.8 ათასი ლარი⁶.
- 2011 წელს შპს „რემმშენი ბორჯომთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება⁷ ქ.ბორჯომში რკინა-ბეტონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე ღირებულებით - 85.6 ათასი ლარი. მიმწოდებლის მოთხოვნით გაკეთდა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა, ღირებულებით 83.2 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების აქტი წარმოდგენილია და მიღება-ჩაბარება გაფორმებულია 85,6 ათას ლარზე. აღნიშნულის გამო, ბიუჯეტიდან ანაზღაურებულია 2.4 ათასი ლარით მეტი თანხა.

¹ 2010 წლის 18 იანვარის ხელშეკრულება №68 - ხელშეკრულების ღირებულება 67.7 ათასი ლარი და 2010 წლის 31 აგვისტოს ხელშეკრულება №369-ხელშეკრულების ღირებულება 7.2 ათასი ლარი

² რისთვისაც საჭირო იყო 3000 სანათი

³ ერთეულის ფასი გაზრდილია 11 თვის მანძილზე

⁴ 8 აპრილის ხელშეკრულება №195

⁵ ერთეულის ფასი ხარჯთაღრიცხვით - 6 ლ. შესრულებული სამუშაოს აქტით - 7.27 ლ. (7.27-6)X1081=1373

⁶ (7.27-6)X1081=1373X1.06X1.06X1.18=1820

⁷ 2 ნოემბრის ხელშეკრულება №246

- 2011 წელს დაიდო ხელშეკრულება⁸ ი/მ „ოლეგ გელაშვილთან“ სოფ. ჩითახევში, საკირსა და დაბა ახალდაბაში ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე. შესრულებაში დაშვებულია შეცდომა – ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით ერთეულის ფასები გაზრდილია და მთლიანმა თანხამ შეადგინა 0.5 ათასი ლარი.
- 2011-2012 წლებში მიმწოდებლების მიერ ხელფასის სახით გაწეულ ხარჯზე დარიცხული და ანაზღაურებულია მასალის ტრანსპორტირების ხარჯები. სულ ამ სახით ბიუჯეტიდან დაუსაბუთებლად ანაზღაურებულია 4.5 ათასი ლარი, მათ შორის: შპს „არტესზე“⁹ – 3.5 ათასი ლარი, შპს „რემმშენი ბორჯომზე“¹⁰ – 0.7 ათასი ლარი და შპს „ბორჯომი 2008“-ზე¹¹ – 0.3 ათასი ლარი.
- შპს „მშენებელი XXI+“-ს ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2012 წელს შესრულებული აქვს სხვადასხვა შენობების სახურავების სარეზილიტაციო სამუშაოები¹², შესრულებულ სამუშაოებს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ჩაუტარდა ექსპერტიზა. წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტების (ფორმა №2) მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 310,9 ათასი ლარი, ექსპერტიზით კი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები დადგინდა და ანაზღაურებას დაექვემდებარა 287.4 ათასი ლარი. ხოლო, გამგეობის მიერ ანაზღაურებულია 295.5 ათასი ლარი. ამდენად, შპს „მშენებელი XXI+“-ს დაუსაბუთებლად ჩაერიცხა 8.1 ათასი ლარი.

შესყიდვების განხორციელებისას დაშვებული ხარვეზები

❖ გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 12 ივლისის ბრძანებით¹³ დამტკიცებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი“-ს მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ზედნადები ხარჯები და გეგმური მოგება ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს (პირდაპირ დანახარჯებს) უნდა

⁸ 2011 წლის 2 დეკემბრის ხელშეკრულება №269

⁹ 2012 წლის 17 სექტემბრის ხელშეკრულება №320

¹⁰ 2011 წლის 24 ივნისის ხელშეკრულება №144 და 2011 წლის 2 ნოემბრის ხელშეკრულება №246

¹¹ 2011 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულება №205

¹² 2012 წლის 11 ივნისის №199 ხელშეკრულება; 2012 წლის 2 აგვისტოს №264 ხელშეკრულება; 2012 წლის 11 სექტემბრის №310 ხელშეკრულება

¹³ №1-1/1463

დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის ივლისიდან სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა განხორციელებულია ისე, რომ აღნიშნული წესი გამოყენებული არ არის და მიმწოდებლებზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებულია წარმოდგენილი სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2) საფუძველზე. არ არის მოთხოვნილი და მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯები და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოები. სულ 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის იანვრამდე გამარტივებული წესით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განხორციელებულია 57 შემთხვევაში, თანხით 1180.9 ათასი ლარი.

❖ წინასწარი ანგარიშსწორება

მიმწოდებელზე წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსის ჩარიცხვა) ზოგიერთ შემთხვევაში მოხდენილია შესყიდვების წესის¹⁴ დარღვევით: 2009 წელს შპს „ბორჯომის კეთილმოწყობა“-ზე¹⁵ ავანსად ჩარიცხულია 26.0 ათასი ლარი (სახელშეკრულებო თანხის 65%) ისე, რომ იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ იყო და არც საბანკო გარანტიაა წარმოდგენილი; 2010 წელს შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“-ზე¹⁶ ავანსად ჩარიცხულია 64.0 ათასი ლარი (სახელშეკრულებო თანხის 80%). ხელშეკრულებაში ჩასარიცხი ავანსის პროცენტი მითითებული არ იყო. 2011 წელს ი/მ „იოსებ ტალახაძე“-ზე¹⁷ ავანსად ჩარიცხულია 85.0 ათასი ლარი (სახელშეკრულებო თანხის 70%) მაშინ, როდესაც ხელშეკრულება წინასწარ ანგარიშსწორებას არ ითვალისწინებდა¹⁸.

❖ მიმწოდებლებზე გაუვრცელებელი ჯარიმები

მუნიციპალიტეტის მიერ 2010 წელს შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“-სგან¹⁹ მოხდენილია 80.0 ათასი ლარის ღირებულების ნაგავმზიდი ავტომანქანის შესყიდვა. მიმწოდებელმა საქონელი მიაწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე 11 დღის დაგვიანებით, მუნიციპალიტეტის მიერ საჯარიმო სანქცია კი გატარებულია მხოლოდ

¹⁴ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვარის ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლის 17 და 18 პუნქტების მოთხოვნა

¹⁵ 2009 წლის 18 დეკემბრის ხელშეკრულება №493

¹⁶ 2010 წლის 24 თებერვლის ხელშეკრულება №116

¹⁷ 2011 წლის 28 მარტის ხელშეკრულება №71

¹⁸ შეაბამისი გარანტია წარმოდგენილია

¹⁹ 24 თებერვლის ხელშეკრულება №116

სამ დღეზე. 8 დღის ვადაგადაცილებაზე არ არის დარიცხული ჯარიმა თანხით 6.4 ათასი ლარი²⁰.

2009 წელს ი/მ „ნუგზარი გუმბერიძე“-ს მიერ შესრულებულია საჯარო სკოლის კაპიტალური შეკეთების 28.1 ათასი ლარის სამუშაოები²¹. სამუშაოები 30 აგვისტოს ნაცვლად ჩაბარებულია 9 სექტემბერს²² – 10 დღის დაგვიანებით. არ არის დარიცხული ჯარიმა მიწოდების ვადის გადაცილებაზე, თანხით 0.6 ათასი ლარი²³.

❖ საფეხმავლო ხიდის მშენებლობა

2011 წელს მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბორჯომის ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ხიდის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით გამოეყო 1000 ათასი ლარი²⁴, საიდანაც ხიდის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვისათვის გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი²⁵ თანხით 697.4 ათასი ლარი.

ტენდერში გაიმარჯვა შპს „ზიმო“-მ და გაფორმდა ხელშეკრულება²⁶ „მდინარე ბორჯომულაზე, ბორჯომის ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ორბურჯიანი საფეხმავლო ხიდის მშენებლობაზე“, თანხით 690.4 ათასი ლარი.

შპს „ზიმო“-ს, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, უნდა შეესრულებინა: ბურჯების, ლითონის კარკასის, მოსაპირკეთებელი, ელ.სამონტაჟო და დეკორატიული დამბების მშენებლობის სამუშაოები. ფაქტიურად, ბურჯების მშენებლობაზე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 173.5 ათასი ლარის ნაცვლად შესრულებულია 67.1 ათასი ლარის სამუშაო (106.4 ათასი ლარით ნაკლები), დეკორატიული დამბების მშენებლობაზე 46.3 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯულია 30.7 ათასი ლარი (15.6 ათასი ლარით ნაკლები). ეკონომია მიღწეულია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების შემცირებით. ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით სამუშაოები გაზრდილია მოსაპირკეთებელ სამუშაოებზე 91.8 ათასი ლარით²⁷, ელ.სამონტაჟო სამუშაოებზე – 4.1 ათასი ლარით²⁸.

შპს „ზიმო“-ს მიერ ისე მოხდა სამშენებლო მასალისა და ფასების ცვლილება, რომ არ მომხდარა ხარჯთაღრიცხვის კორექტირება. 5.59 მ³ წიფელის ფიცრები თანხით 2.4 ათასი ლარი, შეიცვალა 4.96 მ³ წაბლის ფიცრებით, თანხით 9.8 ათასი ლარი. თანხა გაზრდილია 7.4 ათასი ლარით. ფასების ზრდა ფიქსირდება: ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული უჟანგავი ლითონის დეკორატიული ბადე

²⁰ 80000X1% $\times$ 8

²¹ 3 აგვისტოს ხელშეკრულება №329

²² შესრულებული სამუშაოს მიღების და მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია 9 სექტემბერს

²³ 28100X0.2% $\times$ 9

²⁴ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 ოქტომბერს №2012 განკარგულება

²⁵ 2011 წლის 4 ნოემბერის SPA110028131 ტენდერი

²⁶ 2011 წლის 24 ნოემბრის №257

²⁷ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 107.7 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულდა 199.5 ათასი ლარი

²⁸ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 31.8 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულდა 35.7 ათასი ლარი

(1.1X215) – 236,50 მ² თანხით 5.9 ათასი ლარი, შესრულებაში ნაჩვენებია იგივე მასალა - 201.84 მ², თანხით 76.1 ათასი ლარი. ერთეულის ფასი გაზრდილია 15-ჯერ, საერთო თანხა კი – 70.2 ათასი ლარით. 356 გრძ.მ მილისებური დრეკადი სანათები უწყვეტი ნათებით თანხით 8.9 ათასი ლარის ნაცვლად დაჯდა 14.2 ათასი ლარი, 5.3 ათასი ლარით ძვირი (ფასი გაზრდილია 1.5-ჯერ). სულ ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით თანხები დარიცხვებით გაზრდილია 116.2 ათასი ლარით²⁹.

აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ 2012 წლით დათარიღებული (თვე და რიცხვი არ აწერია) შპს „ზიმოსთან“ გაფორმებული „ურთიერთშეთანხმების აქტი“. აქტის მიხედვით, „ხიდის მშენებლობაზე გამოყენებული მასალის (ხის იატაკი, უჟანგავი მავთული და სხვა) ღირებულება მისი ამჟამინდელი საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე გაიზარდა, ვიდრე ეს ხარჯთაღრიცხვაშია მოცემული“. შეთანხმდენ ცვლილებაზე, რადგან იგი არ იწვევდა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ზრდას. „ურთიერთშეთანხმების აქტი“ მუნიციპალიტეტის მიერ არ არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

იმ პირობებში, როდესაც მოხდა შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების მნიშვნელოვანი ცვლილება, ერთი მასალა შეცვლილია მეორეთი და მასალის ფასი გაზრდილია 15-ჯერ, აღნიშნული ცვლილება ვერ ჩაითვლება კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის შემცვლელად.

შპს „ზიმო“-ს მიერ შედგენილია შესრულებული სამუშაოს მიღების აქტი, სადაც დაფიქსირებულია მშენებლობის ძირითადი ობიექტების (ბურჯების, ლითონის კარკასის, მოსაპირკეთებელი, ელ.სამონტაჟო და დეკორატიული დამბების მშენებლობის სამუშაოები) მთლიანი სახარჯთაღრიცხვო და ფაქტიურად შესრულებული ღირებულება, თანხით 645.6 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი ჩაშლილი გახარჯული მასალების, შრომითი რესურსებით, მანქანა-მექანიზმებით და დარიცხვების ჩვენებით ხელმოუწერელია როგორც მომწოდებლის, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მხრიდან.

შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის ჩატარება ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ იყო და არც ფაქტიურად მომხდარა. შპს „ზიმო“-ს მიერ ხიდის მშენებლობის პროექტში (ხარჯთაღრიცხვაში) მოხდენილი ცვლილებები ხომ არ იწვევს ხიდის დანიშნულების ცვლილებას ან საფრთხეს ხომ არ შეუქმნის მასზე მოსიარულეთა სიცოცხლეს, შემდგომი ექსპერტიზის დადგენის საგანია.

შპს „ზიმოს“ სამუშაოები უნდა დაესრულებია 2012 წლის 15 მაისს, შეთანხმებით სამუშაოების შესრულების ვადა ორჯერაა გადაწეული, თავდაპირველად 2012 წლის 14 მაისს და სამუშაოების დამთავრების ვადა განისაზღვრა 14 ივნისისათვის, ხოლო მეორედ 5 ივნისს და დამთავრების ვადა განისაზღვრა 20 ივლისამდე.

²⁹ $(7.4+70.2+5.3) \times 1.1 \times 1.08 \times 1.18 = 116.2$

საუშაოების დროულად დაუსრულებლობის მიზეზად პირველად მოყვანილია „გაჭიანურებული ზამთარი და არასახარბიელო კლიმატური პირობები“, რაზედაც რაიმე სახის მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის. ამ პერიოდისათვის მიმწოდებელს ჩაბარებული ჰქონდა 247.8 ათასი ლარის სამუშაოები (მთლიანი სამუშაოების 36%).

ვადის გადაწევის მეორე მიზეზად მოყვანილია სუბკონტრაქტორების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულება. 15 მაისიდან 20 ივლისამდე შპს „ზიმოს“ სამუშაოები არ ჩაუბარებია.

სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი მეტეოროლოგიური პირობების არარსებობა ვერ ჩაითვლება ობიექტურ მიზეზად, რადგან ამ პირობების გათვალისწინებით იქნა განსაზღვრული სამუშაოების შესრულებისათვის 6 თვე. სუბკონტრაქტორების მიერ სამუშაოების დაგვიანებით შესრულება წარმოადგენს მიმწოდებლის პრობლემას და არც ის შეიძლება ჩაითვალოს ვადის გადაწევის ობიექტურ მიზეზად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა შპს „ზიმოს“ სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია იმიტომ, რომ არ დარიცხოდა ჯარიმა. ვადის გაუგრძელებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს 20 ივლისამდე შესაძლოა დარიცხოდა ჯარიმა 45.6 ათასი ლარის (690.4X65 დღეX0.1%) ოდენობით, რაც ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 6.6%-ია. ხელშეკრულების მე-17.4 პუნქტის მიხედვით კი, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება ჰქონდა შეეწყვიტა ხელშეკრულება და მე-11.2 პუნქტის შესაბამისად მოეთხოვა ზარალის ანაზღაურება.


შპს „ზიმომ“, მიუხედავად ვადის ორჯერ გადაწევისა, სამუშაოები ჩააბარა 61 დღის დაგვიანებით 19 სექტემბერს, რის გამოც მუნიციპალიტეტმა გაავრცელა სანქცია 42.1 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის მიერ ქონების მართვა, განკარგვა და აღრიცხვა

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შესწავლისას გამოვლინდა სხვადასხვა სახის სისტემური ნაკლოვანებები:

- **აღურიცხავი და გადაუხდელი საიჯარო ქირა და საურავი**

2009-2012 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 226.5 ათასი ლარი:



ბორჯომის გამგეობის მიერ არ ხდებოდა იჯარით გაცემული ქონებიდან მისაღები შემოსავლის სათანადო აღრიცხვა; საიჯარო ქირის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში არაა გამოყვანილი გადაუხდელი საიჯარო ქირის ნაშთები (საიჯარო ქირის დავალიანებები); არ არის დარიცხული და მოთხოვნილი მოიჯარეებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გადახდა; იჯარის არათავისდროულ გადამხდელებზე გამგეობის მიერ რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება არ გატარებულა. გამგეობის მიერ მხოლოდ 2 მოიჯარეს მიეწერა წერილი (2009 წელს) იჯარის გადაუხდელი თანხის დაფარვის მოთხოვნით³⁰.

საიჯარო ხელშეკრულებები ზოგჯერ ისეა გაფორმებული, რომ მასში არ არის გათვალისწინებული ჯარიმა იჯარის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში. კერძოდ: შპს „გზამშენი-5“-ის მიერ 2009-2010 წლებში გადაუხდელმა საიჯარო ქირამ შეადგინა 14.9 ათასი ლარი, საიდანაც 12.1 ათასი ლარი დაიფარა 2011 წლის მაისში, ხოლო 2.8 ათასი ლარი ისევ ნაშთად ირიცხება. იმის გამო, რომ შპს „გზამშენი-5“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული სანქცია (ჯარიმა) იჯარის ქირის არათავისდროულად ჩარიცხვისათვის, მასზე საჯარიმო სანქცია ვერ გავრცელდა. თუმცა იჯარის ქირის ერთ თვეში გადაუხდელობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტს შეეძლო ხელშეკრულების შეწყვეტა, რაც არ მომხდარა.

აუდიტის დროს ჩვენს მიერ გამოანგარიშებული იქნა მოიჯარეების მიერ გადაუხდელი ქირა და მასზე დასარიცხი საურავი. 2013 წლის 1 იანვრისათვის 14 მოიჯარის გადაუხდელმა საიჯარო ქირამ შეადგინა 13.5 ათასი ლარი, ხოლო ქირის თავისდროულ ჩაურიცხაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა საჯარიმო სანქციამ (საურავი) შეადგინა 13.5 ათასი ლარი.

³⁰ აუდიტის მიმდინარეობისას წერილი მიეწერა 4 მოიჯარეს

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოიჯარეების მიერ გადაუხდელი იჯარა და საურავი(2013 წლის 1 იანვრისათვის)							
N	დამქირავებელი (მეიჯარე)	ობიექტის დასახელება	იჯარა	გადახდა	გადაუხდელი იჯარა	საურავი	სულ გადასახდელია
1	ი.მ. ვასილ მჭედლიძე	"ნიუ-ჰოლანდის" მარკის კოვშიანი მანქანა-მექანიზმი	2100	1500	600		600
2	კახაბერ გიორგაძე	კოსტავას ბაღი, საზ.კვების ობიექტი	543	396	147		147
3	მირიან კიკნაძე	კოსტავას ბაღი, საზ.კვების ობიექტი	543	362	181		181
4	ი/მ გიორგი იკოშვილი	კოსტავას საზ.ბაღი საზ.კვების ობიექტი	543	181	362		362
5	შ.პ.ს. "ჩუბინი-სნაიპერი"	ქ.ბორჯომი, კოსტავას საზ. ბაღი ტირის განსათ.	306	112	194		194
6	იური კახანაშვილი	კოსტავას ბაღი, სახტუნაო ბატუტი	492	373	119		119
7	ნაირა ერაძე	ბორჯომი კოსტავას ბაღი	660	251	409		409
8	მარიამ პოლოსოვი	ბორჯომი კოსტავას ბაღი	188	61	127		127
9	ლექსო ოქრომელიძე	ბორჯომი, კოსტავას ბაღი	440	247	193		193
10	საუკუნშენი	ქ.ბორჯომი, თორის ქ. #1	115000	108941	6059	12629	18688
11	გზამშენი-5	"ნიუ-ჰოლანდის" მარკის კოვშიანი მანქანა-მექანიზმი	21600	18835	2765		2765
12	ნინო გელაშვილი	სოფ. ყვიბისის კულტურის სახლში ფართი	1750	1233	516	383	900
13	უაიდ დისტრიბუშენი	რუსთაველის ქ. და მესხეთის ქ. ნაკვეთები	1620	880	740	332	1072
14	გიორგი გიუაშვილი	რუსთაველის მოედანი N1-ში მდებარე შენობის მე-9 სართული,საოფისე ფართი	1939	1782	157	75	232.14
15	ნაირა გუმბერაძე	ბორჯომი, რუსთაველის მოედნის მიმდებარედ	1136	620	516		516.00
16	დოდო რიბაკოვა	რუსთაველის მოედანი N1-ში მდებარე შენობის მე-9 სართულზე მდებარე 1 ოთახი	1870	1490	380	80	460
		სულ	150730	137264	13466	13499	26965

2009 წელს შპს „გზამშენი-5“-მა იჯარით (ქირავნობით) გადაცემულ „ნიუ-ჰოლანდის“ მარკის ავტომანქანაზე შეცვალა 2 საბურავი ღირებულებით 2.8 ათასი ლარი, გამგეობის მიერ ამ თანხით შემცირებულია სატრანსპორტო საშუალების ქირის გადასახადი. იჯარაზე გაფორმებული ხელშეკრულება მოიჯარის მიერ ავტომანქანაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას არ ითვალისწინებდა, არც დეფექტური აქტია შედგენილი საბურავების შეცვლის აუცილებლობასთან

დაკავშირებით. შედეგად, არ მოხვდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2.8 ათასი ლარის შემოსავალი.

- **მუნიციპალიტეტთან შეთანხმებული ქვემოიჯარე**

გამგეობის მიერ არ ხდება იჯარით გაცემული ფართების კონტროლი, მოიჯარის მიერ ისეა გაცემული ქვეიჯარა, რომ არ მომხდარა გამგეობასთან შეთანხმება, რასაც მასთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა. კერძოდ: 2008 წლის 20 ოქტომბერს ადმინისტრაციულ შენობაში 57.7 მ² ფართი 2 წლით მიქირავებული ჰქონდა მარინა შაყულაშვილს, რომელმაც გამგეობასთან შეთანხმების გარეშე აღნიშნული ფართი 2008 წლის 25 ნოემბერს ქვეიჯარის სახით გადასცა შპს „ან-არქიტექტურას“.

- **ბაკურიანის რიტუალების სახლის მშენებლობა**

2010-2012 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხებით შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: საავტომობილო გზების, წყლის სისტემის და გარე განათების რეაბილიტაცია, აგრეთვე სარიტუალო სახლის მშენებლობისთვის შეძენილია მასალები.

რიტუალების სახლის მოსაწყობად შეძენილია 61.1 ათასი ლარის სამშენებლო მასალა. მიღებული მასალები აღებულია შემოსავალში, მარაგებში და გახარჯულია რიტუალების სახლის მშენებლობაზე. მასალები ჩამოწერილია არასწორად „საქონელი და მომსახურების“ ხარჯების მუხლში (საბუღალტრო ანგარიში №7200).

იმავდროულად სარიტუალო სახლის მასალები აღებულია „ძირითადი აქტივების“ ანგარიშის დებეტში (საბუღალტრო ანგარიში №2100), „წმინდა ღირებულების“ (საბუღალტრო ანგარიში №5100) კრედიტთან კორესპონდენციით. აღნიშნული ბუღალტრული გატარებაც არასწორია, რადგან სამშენებლო მასალა არ შეიძლება იყოს ძირითადი აქტივი (საშუალება).

შეძენილი მასალები აღრიცხული უნდა ყოფილიყო „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“-ს (საბუღალტრო ანგარიში №1627) ანგარიშზე და მისი ხარჯვის მიხედვით შედგენილიყო შესაბამისი დოკუმენტი (შესრულებული სამუშაოს აქტი, ფორმა №2) და აღრიცხულიყო „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ ანგარიშზე (საბუღალტრო ანგარიში №2140), ხოლო სამუშაოების საბოლოოდ დამთავრებისა და ობიექტის ექსპლოატაციაში გაშვების (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების) შემდგომ ეს ქონება აღრიცხებოდა ძირითადი აქტივების ანგარიშზე „შენობა-ნაგებობები“ (საბუღალტრო ანგარიში №2110)³¹.

ბორჯომის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №4 დადგენილებით, სარიტუალო სახლის მშენებლობა საჭიროებდა ნებართვას შესაბამისი სამსახურიდან.

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის N19, N22 და N23 მუხლები

აგრეთვე ვერ იქნა წარმოდგენილი სახლის მშენებლობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. სარიტუალო სახლის მშენებლობა ნაწარმოებია ადგილობრივი მოსახლეობის ძალებით და აუდიტის მიმდინარეობისას დამთავრებული არ იყო.

- **სხვადასხვა ორგანიზაციებზე გადაცემული არაფინანსური აქტივები**

მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება 29.9 ათასი ლარის (ნარჩენი ღირებულების) მატერიალური ფასეულობები, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებზეა გადაცემული (შსს სამმართველო; საოლქო-საარჩევნო კომისია; ქართულ-ოსური ურთიერთობის ოფისი; გარემოს დაცვის სამსახური; 2 საჯარო სკოლა და სხვა). ქონება გადაცემულია ისე, რომ მათთან ხელშეკრულებები ქონების რაიმე ფორმით გადაცემაზე გაფორმებული არ არის³².

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის 2009 წლის 17 ივნისს გაფორმდა საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება ბორჯომის მუნიციპალიტეტის სადგარი-ტბა-ცემის გზის მონაკვეთის შეკეთებასა და მოასფალტების სამუშაოების ქვეპროექტის განხორციელების შესახებ. ქვეპროექტის საბაზისო ღირებულება განისაზღვრა 979.6 ათასი ლარის ოდენობით, რომლის 30%-ს (293,9 ათასს ლარს) დააფინანსებდა ფონდი გრანტის სახით, 50%-ს (489.8 ათასს ლარს) ფონდი გასცემდა 10 წლიანი სესხის სახით, ხოლო 20%-ს (195.9 ათასი ლარი) კი დაფარავდა მუნიციპალიტეტი. ქვეპროექტის განხორციელების საორიენტაციო პერიოდი განისაზღვრა 8 თვით.

მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით³³, მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია ქვეპროექტის ფარგლებში გამოყოფილი ობიექტის (გზის) ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობაზე. ხელშეკრულების³⁴ მიხედვით უნდა გაფორმებულიყო „მიღების აქტი“ ფონდს, მუნიციპალიტეტსა და შესაბამის კონტრაქტორს (სამუშაოს შემსრულებელს) შორის.

მუნიციპალიტეტის მიერ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი ვერ იქნა წარმოდგენილი. ამდენად, ვერ დგინდება პროექტის

³² საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ მე-19 მუხლი 1 ნაწილი სადაც დაწერილია რომ თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი ფორმებით: ა) აღნაგობა; ბ) უზუფრუქტი; გ) ქირავნობა; დ) იჯარა; ე) თხოვება; ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმები.

³³ მე-3 მუხლი, სადაც გაწერილია მუნიციპალიტეტის ვალდებულებები

³⁴ მე-5 მუხლი

რეალური (საბოლოო) ღირებულება, ასევე, ჩაიბარა თუ არა მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ქონება.

სადგარი-ტბა-ცემის გზის მონაკვეთი მიეკუთვნება ბორჯომი-ბაღი-ტბა-ცემის 13 კმ-იან გზას, რომელიც წარმოადგენს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას და ირიცხება საგზაო დეპარტამენტის ბალანსზე³⁵ (წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას). ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ნუსხის დამტკიცების უფლება აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს³⁶, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ ასეთი ნუსხა დამტკიცებული არ არის.

მუნიციპალიტეტის მიერ ზემოთ აღნიშნულ გზაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 456.5 ათასი ლარი, აქედან გადახდილია პროექტის ღირებულების 20% - 195.9 ათასი ლარი, დაფარულია სესხის ნაწილი 80.4 ათასი ლარი, სესხის პროცენტი - 180.2 ათასი ლარი. გარდა ამისა, კიდევ გადასახდელია დარჩენილი სესხი - 409.5 ათასი ლარი და პროცენტი - 189.8 ათასი ლარი.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“³⁷ მიხედვით, ფონდის მიერ გზაზე გაწეული რეაბილიტაციის ხარჯები წარმოადგენს „არაფინანსური აქტივების ზრდას“, განიხილება როგორც ძირითადი აქტივების მიღება³⁸. ამდენად, მუნიციპალიტეტს გზის რეაბილიტაციის ხარჯები უნდა აეღო შემოსავალში და შემდგომ გადაეცა სახელმწიფოსთვის, რაც არ მომხდარა.

2009 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტს დასაფარი ჰქონდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ იაპონური საგრანტო პროგრამის ფარგლებში მიღებული სესხი 468.9 ათასი ლარი (ძირითადი თანხა - 306.9 ათასი ლარი, პროცენტი - 162.0 ათასი ლარი). აღნიშნული სესხითა და გრანტით 2008 წელს შეძენილია საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერები თანხით - 335.4 ათასი ლარი და იტალიური წარმოების ექსკავატორ-მტვირთავი თანხით 172.9 ათასი ლარი. მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებულია საინვესტიციო ხელშეკრულება, რომლითაც სესხის ხანგრძლივობა განისაზღვრა 8 წლით, წლიური 12%-იანი სარგებლით.

2009-2012 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური განვითარების ფონდის დავალიანება სულ დაფარულია 507.9 ათასი ლარი, აქედან სესხის ძირითადი თანხა 207.9 ათასი ლარი, პროცენტი 300.0 ათასი ლარი. 2013 წლის 1 იანვრისათვის მგფ-ის მიმართ დავალიანება ირიცხება 820.9 ათასი ლარი, აქედან ძირითადი თანხა 588.8 ათასი ლარი, გადასახდელი პროცენტი 232.1 ათასი ლარი.

³⁵ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 15 სექტემბრის №554 ბრძანებულება „საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

³⁶ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება №220 „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განსაზღვრის წესის შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

³⁷ დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით (მოქმედებდა 2010 წლის 6 სექტემბრამდე)

³⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 და 25-ე მუხლების მოთხოვნა

არაფინანსური აქტივების აღრიცხვა

მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საქმიანობა არაფინანსური აქტივების აღრიცხვის ორგანიზებასა და მოვლა-შენახვაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად არასაკმარისია. ძირითად და გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებს არ აქვთ მინიჭებული საინვენტარიზაციო ნომრები. კანონმდებლობის შესაბამისად არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე³⁹. ვინაიდან მატერიალური ფასეულობების მიკუთვნება (დაწერა) ხდება ბუღალტრული პროგრამის მეშვეობით⁴⁰, ხშირ შემთხვევაში მატერიალური ფასეულობები ერიცხება პირებს, რომლებსაც ეს ქონება არ ჩაბარებიათ. მაგალითად, მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტს ამირან გოგოლაძეს 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბუღალტრულად აწერია 7841.7 ათასი ლარის არაფინანსური აქტივები (ნარჩენი ღირებულებით), საიდანაც 7081.4 - ათასი ლარის ფასეულობა მას არ ჩაუბარებია.

სრულად ამორტიზებული ძირითადი აქტივები, რომლის პირვანდელი ღირებულება 104.3 ათასი ლარია, არ არის მოხსნილი ბალანსიდან და გადატანილი ბალანსის საცნობარო მუხლში „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ (08)⁴¹.

2009-2012 წლებში მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია

2009-2012 წლებში მუნიციპალიტეტში არ მომხდარა გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების (უძრავი და მოძრავი) ინვენტარიზაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით⁴². ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის მიუხედავად, ინვენტარიზაციები დამთავრებული არ არის, არ არის შედგენილი შედარების უწყისი და გამოყვანილი ინვენტარიზაციის შედეგები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2010 წელს შეიქმნა კომისია⁴³, რომელსაც დაევალა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული, გამგეობის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (გარდა საბიბლიოთეკო ფონდებისა) ინვენტარიზაციის ჩატარება და ინვენტარიზაციის

³⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 ქვეპუნქტი; მე-18 მუხლის 3-6 ქვეპუნქტები

⁴⁰ პროგრამა მატ. ფასეულობას არ აღრიცხავს თუ ის მატერიალურად პასუხისმგებელ პირს არ დაეწერა.

⁴¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხულის მე-9 ქვეპუნქტი.

⁴² ფინანსთა სამინისტროს 1996 წლის 1 გვისტოს დებულება N3 „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ (N12-03) და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“

⁴³ 2010 წლის 16 ნოემბრის N129 ბრძანება,

შედეგების ბუღალტერიაში წარდგენა 2010 წლის 20 დეკემბრისათვის. წარმოდგენილი ცნობით, ინვენტარიზაცია ჩატარდა 3460.2 ათასი ლარის ქონებას⁴⁴. ბუღალტერიაში არსებული ინვენტარიზაციის მასალები არასრულყოფილია (არსებულ ინვენტარიზაციის ნუსხებში ხშირ შემთხვევებში არ არის მითითებული ინვენტარიზაციის ჩატარების დრო, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების და კომისიის წევრების ხელმოწერები). ბუღალტერიის მიერ ინვენტარიზაციის შედეგები, მატერიალური ფასეულობების მეტობა ან დანაკლისი არ არის გამოყვანილი. საკრებულოს მიერ კომისიის აქტების საფუძველზე 2011 წლის დეკემბერში⁴⁵ ჩამოწერილია გამგეობის ბალანსზე რიცხული 27.3 ათასი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები⁴⁶, მათ შორის 9.2 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების მქონე, რომელიც ბუღალტერიაში აღრიცხულია სხვა ხარჯების ანგარიშზე (№7821) ნაცვლად აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებების (№8200) ანგარიშისა⁴⁷.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 ნოემბრის №442 ბრძანებით, შეიქმნა კომისია გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის ჩასატარებლად. კომისიას ინვენტარიზაციის ჩასატარებლად და შედეგების ბუღალტერიაში ჩასაბარებლად ვადა განესაზღვრა 2012 წლის 31 დეკემბრამდე. კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ივანე კოჭორიძის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ წინა წლებში ინვენტარიზაციები არ იყო ჩატარებული და მუნიციპალიტეტმა რამოდენიმეჯერ შეიცვალა ადგილმდებარეობა, ასევე, ცუდი კლიმატური პირობების გამო რამოდენიმე ობიექტზე ფიზიკურად ვერ მოხერხდა ინვენტარიზაციის ჩატარება. ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანებაში რაიმე ცვლილების შეტანა არ მოხდა. აუდიტის მიმდინარეობისას საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 15 მაისის №125 ბრძანებით შეტანილი იქნა ცვლილება ბრძანებაში და შეიცვალა ინვენტარიზაციის კომისიის თავმჯდომარე ი.კოჭორიძე, მისი თანამდებობიდან განთავისუფლების⁴⁸ გამო. ამ დროისათვის ინვენტარიზაცია დამთავრებული არ არის.

მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფოზე გადაცემული ადმინისტრაციული შენობა

საკრებულოს თავმჯდომარემ 2010 წლის 1 ოქტომბრის N702 წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მუნიციპალიტეტის ძირითადი ქონების (ადმინისტრაციული შენობა)⁴⁹ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო „ადგილობრივი

⁴⁴ სატრანსპორტო საშუალება-495.7 ათასი ლარი; მანქანა- დანადგარები-2595.8 ათასი ლარი; „წიგნადი ფონდი“- 368.7 ათასი ლარი.

⁴⁵ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011წლის 9 დეკემბრის №77 განკარგულება.

⁴⁶ ჩამოწერის აქტებში აღნიშნულია როგორც „უვარგისი და გამოუყენებელი“

⁴⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-15 პუნქტი

⁴⁸ მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 14 აპრილის ბრძანება .N23-306, ი.კოჭორაძის განთავისუფლებაზე

⁴⁹ ფართი 3734 კვ.მ. ღირებულებით 167.4 ათასი ლარი და 2288 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა

თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „საკრებულო ძირითადი ქონების გასხვისებაზე თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულებას იღებს წევრთა ხმების 2/3-ით“. საკრებულოს აღნიშნული საკითხი არ განუხილავს.

შენობა ისე იქნა გადაცემული სახელმწიფოსთვის, რომ მუნიციპალიტეტს ალტერნატიული ფართი არ გააჩნდა, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტი 2011 წლის სექტემბრამდე ფუნქციონირებას განაგრძობდა გასხვისებულ შენობაში, შემდგომ კი – №2 საჯარო სკოლაში⁵⁰.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი, „ძირითადი ქონების გასხვისება შესაძლებელია თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს თანხმობით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება“.

მიუხედავად იმისა, რომ ქონება 2010 წელს გადაეცა სახელწიფოს, გამგეობის ბალანსიდან მოხსილი (ჩამოწერილი) არ არის. 2011-2012 წლებში დაერიცხა 3.5 ათასი ლარის⁵¹ ცვეთა.

მუნიციპალიტეტს 2011 წლის 20 სექტემბერს უსასყიდლოდ გადაეცა შპს „ბორჯომის სავაჭრო ცენტრი 2005“-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. №5) მეორე და მესამე სართული (საერთო ფართი 1703.4 კვ.მ). აღნიშნული ქონების ღირებულების თავდაპირველი შეფასება და შემოსავალში აღება (აღრიცხვაში აყვანა) არ მომხდარა დადგენილი წესით⁵².

მუნიციპალიტეტის ყოფილი ადმინისტრაციული შენობის გასხვისებასთან დაკავშირებით გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბორჯომის მუნიციპალიტეტს, სახელმწიფოსაგან მუნიციპალიტეტის ყოფილი ადმინისტრაციული შენობის შემძენს (შპს „ქროსვეისი“) და მშენებელ ფირმას (სს „სამშენებლო კომპანია №3“) შორის. მემორანდუმის მიხედვით, შპს „ქროსვეისი“ მოახდენდა „მისი გაფორმებიდან ათი თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული მუნიციპალური პროექტების (სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები) შესრულებას ან/და დაფინანსებას 1300.0 ათასი ლარის ოდენობით“. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემულ ადმინისტრაციულ საოფისე ფართს, რომელიც აყვანილი იქნა ბალანსზე მხოლოდ კაპიტალური რემონტის ღირებულებით⁵³.

⁵⁰ 2012 წლის ივლისამდე

⁵¹ 2011წელს-1.5 ათასი ლარის, 2012წელს-1.5 ათასი ლარის,

⁵² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007წლის 28 დეკემბერის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ზიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი; 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი;

⁵³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007წლის 28 დეკემბერის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ზიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი.

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ზოგიერთი არაფინანსური აქტივები

მუნიციპალიტეტის მარაგების ნაშთებში აღრიცხულია 129.7 ათასი ლარის ღირებულების ლამპიონები. აღნიშნული ლამპიონების ნაშთის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ გაცემული ცნობით ირკვევა: აღნიშნული მატერიალური ფასეულობა შეძენილია 2007 წელს⁵⁴, რომელიც შენახვის პირობების დაცვით გადაეცა შპს „გარე განათება“-ს⁵⁵; გარე განათების სამუშაოების შესრულების დროს ლამპიონები გადაეცა ამ სამუშაოებზე მომუშავე მშენებლებს⁵⁶ და დამონტაჟდა განათების ბოძებზე; ლამპიონების ჩამოწერა არ მომხდარა.

მარაგების ნაშთებში აღრიცხულია აგრეთვე 9.5 ათასი ლარის ღირებულების ჰიბრიდული სიმინდის თესლი⁵⁷, რომლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. მთავარი ბუღალტერის განმარტებით, არ მოხდა მისი ჩამოწერა, რადგან არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ლამპიონების და ჰიბრიდული სიმინდის თესლის ბუღალტრული ნაშთების რეალობის დადგენის შემდგომ გადაწყდეს მათი დანაკლისად აღიარების საკითხი.

ხანდაზმული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

მუნიციპალიტეტში 2013 წლის 1-ლი იანვრისთვის აღრიცხულია 102.8 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოშობილია 3 წელზე მეტი ხნის წინ, მათ შორის: მოქანდაკე გიორგი წულაიაზე, ავანსად ჩარიცხული ქანდაკების ღირებულებით, 85.0 ათასი ლარი, წარმოშობილი 2004 წელს. აღნიშნულ დავალიანებასთან დაკავშირებით გამგეობის მიერ მოგებულია სასამართლო დავა და საქმე გადაცემულია აღსრულებაზე; დებიტორებში ირიცხება აგრეთვე 2007 წელს წარმოშობილი უიმედო (გაურკვეველი) დავალიანებები: „ყინულის ფესტივალი“ – 11.0 ათასი ლარი და „წიგნები“ – 6.8 ათასი ლარი, რომლის წარმოშობის საფუძველი ვერ დადგინდა.

მუნიციპალიტეტის მიერ 17.8 ათასი ლარის დებიტორული დავალიანების რეალობა დადგენილი არ არის. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული წესით⁵⁸ გათვალისწინებული დავალიანების ინვენტარიზაციები

⁵⁴ შპს „მშენებელი XXI +“-საგან 80.5 ათასი ლარის, ხოლო შპს „პროფსერვისი“-საგან 49.2 ათასი ლარის

⁵⁵ დაფუძნებულია მუნიციპალიტეტის მიერ (100%)

⁵⁶ ინსპექტირების ჯგუფის წევრის თენგის ზაზაშვილის განმარტებით მასალები(დოკუმენტაცია) შესასწავლად წაღებული აქვს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკურატურას.

⁵⁷ 2011 წლის 19 აპრილის მიღება-ჩაბარების აქტი

⁵⁸ ფინანსთა სამინისტროს 1996 წლის 1 გვისტოს დებულება №3 „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ (№12-03) და

ჩატარებული არაა. ვერ იქნა წარმოდგენილი დავალიანებების დასტურის წერილები და არც ურთიერთშედეგების აქტებია შედგენილი.

კრედიტორული დავალიანება 2013 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 831.9 ათას ლარს, საიდანაც მუნიციპალური განვითარების ფონდის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს 820,9 ათას ლარს.

კრედიტორული დავალიანების სახითაა აღრიცხული 2007 წელს წარმოშობილი დავალიანება ი/მ „სოსლანი ჯიმკარიანის“ მიმართ – შესრულებული სამუშაოს აუნაზღაურებელი თანხა 4.9 ათასი ლარი. ზემოთ აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად⁵⁹, ეს კრედიტორული დავალიანება⁶⁰ უნდა აღრიცხულიყო ბალანსის საცნობარო მუხლში „ვადაგადაცილებული დავალიანებები“ (09).

სარეზერვო ფონდის ხარჯვა

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი. სარეზერვო ფონდიდან თანხებს, გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოყოფს საფინანსო ორგანო. გადაწყვეტილება მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ⁶¹. გამოყოფილი ასიგნებებით წლიური ბიუჯეტის დაზუსტება უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად⁶². ბორჯომის საკრებულოს ასეთი წესი შემუშავებული და მიღებული არ აქვს.

სარეზერვო ფონდიდან გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის თანხების გამოყოფა და ხარჯვა ხდებოდა გამგებლის ბრძანების მეშვეობით. ბრძანებები დაშვებულია, როგორც „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ“. პირველ პუნქტში აღნიშნულია, თუ რამდენი თანხა და რა დანიშნულებით გამოიყო სარეზერვო ფონდიდან, მეორე პუნქტით კი საფინანსო სამსახურს დავალებული აქვს დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა.

2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით სარეზერვო ფონდი შეადგენდა 80.0 ათას ლარს. წლის განმავლობაში სარეზერვო ფონდი შემცირებულია და შესაბამისად, გაზრდილია „სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოების“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“

⁵⁹ 43-ე მუხლის 10-ე პუნქტი.

⁶⁰ საანგარიშო 2012 წლის წინა პერიოდებში წარმოქმნილი და დაუფარავი

⁶¹ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 67-ე მუხლი.

⁶² „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

მუხლი 75.6 ათასი ლარით⁶³. ამავე პერიოდში სარეზერვო ფონდი საკრებულოს მიერ გაზრდილია 45.6 ათასი ლარით⁶⁴.

ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, სარეზერვო ფონდი შეადგენდა: 20 აპრილისთვის – 70.0 ათას ლარს, 11 მაისისთვის – 84.0 ათას ლარს, 8 ივნისისთვის – 72.6 ათას ლარს, 16 ივლისისთვის – 50.0 ათას ლარს, რომელიც შემდგომ არ შეცვლილა.

აღნიშნული გზით გამოყოფილი თანხებიდან, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულებისთვის, შედგენილია შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები. გამარტივებული შესყიდვის გზით სხვადასხვა მიმწოდებლებისგან მოხდენილია სამუშაოების შესყიდვა, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 70.9 ათასი ლარი, რომელიც ანაზღაურებულია სრულად.

მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 20 აგვისტოს N2-593 ბრძანებით სტიქიის (ხანძრის) შედეგად დაზარალებულ ინდივიდუალურ მეწარმე თეიმურაზ მაისურაძეს დასახმარებლად სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 10.0 ათასი ლარი. დახმარებისათვის თანხის გამოყოფის ბრძანებას თან ახლავს: ინდემწარმის განცხადება დახმარების მოთხოვნის შესახებ; სამაშველო სამსახურის მიერ შედგენილი აქტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს, ბორჯომის რაიონული სამმართველოს 2012 წლის 7 აგვისტოს მომართვა ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის. მომართვაში აღნიშნულია, რომ ხანძარი გაჩნდა ბუნებრივი სტიქიით, გამოკითხვის შედეგად დადგენილია დაახლოებითი ზარალი 34.0 ათასი ლარის ოდენობით.

ამდენად, 2012 წელს სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია 10.0 ათასი ლარი, ინდემწარმე თეიმურაზ მაისურაძისთვის გაწეული დახმარება, რომელიც ნაცვლად სარეზერვო ფონდისა, ასახულია გამგეობის ხარჯებში „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში, ხოლო დანარჩენი გამოყოფილი თანხებით (75.6 ათასი ლარი) ბიუჯეტში ცვლილებებია შეტანილი.

შპს „ბორჯომის კეთილმოწყობას“ დაფუძნება და საქმიანობა

2009-2012 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტი ფლობდა შპს „ბორჯომის კეთილმოწყობის“ 100%-იან წილს. შპს დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ და მუნიციპალიტეტს გადმოეცა 2007 წელს⁶⁵. 2009 წლის ივლისში გამგეობის მიერ⁶⁶ შპს-ს გადაეცა სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებები (ავტობუსები, ნაგავსაზიდი ავტომანქანები, კალათიანი ავტომანქანა და სხვა) და დამტკიცდა შპს-ს ახალი წესდება⁶⁷. წესდების მიხედვით, მის ძირითად საქმიანობად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

⁶³ საკრებულოს დადგენილები: 20 აპრილის №16; 11 მაისის №17; 8 ივნისის №18; 16 ივლისის №19.

⁶⁴ 2012 წლის 11 მაისის საკრებულოს დადგენილება №17-ით გაზრდილია 30.3 ათასი ლარით, 2012 წლის 16 ივლისის საკრებულოს დადგენილება №19-ით კი 15.3 ათასი ლარით.

⁶⁵ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 19 ოქტომბრის №1-1/1591 ბრძანება

⁶⁶ გამგებლის 2009 წლის 24 ივლისის ბრძანება №406

⁶⁷ გამგებლის 2009 წლის 27 ივლისის ბრძანება №407

განისაზღვრა: დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის ორგანიზება (საქალაქო საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტებზე), აგრეთვე, სხვადასხვა კეთილმოწყობის, სარემონტო, გამწვანებისა და სხვა სამუშაოების შესრულება. საზოგადოების კაპიტალი განისაზღვრა 754,6 ათასი ლარით. 2012 წლის თებერვლის თვეში⁶⁸ მუნიციპალიტეტს შპს-დან დაუბრუნდა სხვადასხვა გამოუყენებელი ქონება, პირვანდელი ღირებულებით 188.9 ათასი ლარი. შპს საწესდებო კაპიტალმა 2013 წლის 1-ლი იანვრისთვის შეადგინა 510.7 ათასი ლარი.

შპს „ბორჯომის კეთილმოწყობას“ შემოსავლები მიღებული აქვს შემდეგ მომსახურებაზე⁶⁹:

- ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან სახელმწიფო შესყიდვების გზით: ქუჩების და სკვერების დასუფთავების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის სამუშაოებიდან, სატრანსპორტო მომსახურებიდან (მოსწავლეების, წვევამდელებისა და რეზერვისტების ტრანსპორტირება), სხვადასხვა სარემონტო და გამწვანებითი სამუშაოებიდან. მიღებულია 1015.9 ათასი ლარის შემოსავალი.
- მუნიციპალიტეტში სამგზავრო ტრანსპორტზე ტარიფების შენარჩუნების მიზნით და მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე მუნიციპალიტეტიდან მიღებული სუბსიდია. მიღებულია 347.8 ათასი ლარის შემოსავალი.
- მის საკუთრებაში არსებული ავტობუსების მომსახურებიდან მიღებული ამონაგები (მგზავრთა რეგულარული რეისებით გადაყვანა, აგრეთვე, სხვადასხვა ერთჯერადი მომსახურება). მიღებულია 215.8 ათასი ლარის შემოსავალი.
- შიდასაქალაქო, სარაიონო, საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტზე მუშაობისათვის „საგზურის ფურცლების“ გაცემიდან. მიღებულია 119.5 ათასი ლარის შემოსავალი.
- სხვადასხვა შემოსავლები 85.2 ათასი ლარი.

სამგზავრო ტრანსპორტზე ტარიფების შენარჩუნების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სუბსიდია გათვალისწინებულია ყოველწლიურად. სუბსიდიის გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს შპს-ს მიერ წარმოდგენილი გაანგარიშება, სადაც თითოეული მარშრუტის მიხედვით გამოთვლილია დოტაციის თანხა (მოსალოდნელ ხარჯებს გაკლებული მოსალოდნელი შემოსავლები). ბიუჯეტით განსაზღვრული სუბსიდიის მიხედვით, შპს „ბორჯომის კეთილმოწყობასთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება რეგულირებული ტარიფებით მგზავრთა გადაყვანაზე. შპს-ს მიერ მოთხოვნილი სუბსიდიის რეალობის დადგენის

⁶⁸ საკრებულოს №24 ბრძანება

⁶⁹ წარმოდგენილია 2011-2012 წლების შემოსავლების მონაცემები, შპს-ს წინა წლების დოკუმენტაცია ამოღებულია საქარველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურის მიერ

მიზნით, 2009-2012 წლებში გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და შპს-ს თანმშრომლების მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩატარებულია ავტობუსების მიერ საწვავის ხარჯვისა და სხვადასხვა რეისებიდან მიღებული შემოსავლების ქრონომეტრაჟი.

შპს-ს 2009 წელს გადაეცა 2004-2007 წლებში შეძენილი სატრანსპორტო საშუალებები (ავტობუსები, ნაგავმზიდი მანქანები და სხვა), რომელთა უმეტესობა გამოშვებულია ოთხმოცდაათიან წლებში, ნაწილი კი 2005-2007 წლებში. 2011- 2012 წლებში აღნიშნული ტრანსპორტის უმეტესობა ამორტიზებული იყო, რადგან ამ ტიპის ავტობუსების ექსპლუატაციის ვადა 7-8 წელია (ამორტიზაციის წლიური ნორმა 13-15%-ია)⁷⁰.

შპს „ბორჯომის კეთილმოწყობა“-მ 2011 წელს, 860.1 ათასი ლარის შემოსავლების პირობებში, მიიღო 94.8 ათასი ლარის, ხოლო 2012 წელს 924,1 ათასი ლარის შემოსავლებისას კი 34.3 ათასი ლარის ზარალი. შემოსავლების 70% ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული თანხებია (ტრანსპორტზე ფასების შენარჩუნებისა და მოსწავლეთა გადაყვანაზე სუბსიდირება, დასუფთავება და სხვადასხვა მომსახურება). გარდა ამისა, შემოსავლები მიღებულია ავტობუსების მომსახურებიდან, საგზურის ფურცლების გაცემისა და სხვა მომსახურებიდან.

შპს-ს მიერ ხარჯების აღრიცხვა გაწეული ცალკეული მომსახურეობის მიხედვით არ არის ნაწარმოები. ამდენად, ვერ დგინდება 2011-2012 წლებში ზარალი რომელი საქმიანობიდანაა მიღებული და რა არის მისი გამომწვევი მიზეზები.

მასშტაბის შესწლუდვა

2011-2012 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ ქონების პრივატიზების დოკუმენტაცია ამოღებულია სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის მიერ, აღნიშნულის გამო აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას მუნიციპალიტეტის ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საქმიანობა 2009-2012 წლებში ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით განხორციელებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

⁷⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება „ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე”

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი:
გიორგი ჩახვაძე



ხელმოწერა 25.11.2013^წ თარიღი

აუდიტორი:
ლია გუჯაბიძე



ხელმოწერა 25.11.2013^წ თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
თეა უდესიანი



ხელმოწერა 25.11.2013^წ თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
ირაკლი გოგოლიძე



ხელმოწერა 25.11.2013^წ თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
შალვა ბუცხრიკიძე



ხელმოწერა 25.11.2013^წ თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
ირაკლი კოხრეიძე



ხელმოწერა 25.11.2013^წ თარიღი